1907


# მწყემსი

მწყემსმან კეთილმან სული
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის
იოან. 10—11

**№ 23** **1883—1907 წ.** 15 დეკემბერი


## რედაქციისაგან.

ღვთის შეწევნით და ჩვენი ჟურნალის მკითხველების თანაგრძნობით ვაცხადებთ მომავალ წელში „მწყემს“-ზე ხელის მოწერას. უფულოდ „მწყემსი“ არავის გაეგზავნება. დაწვრილებითი განცხადება გაზეთის ბოლოში იხილე.

## რედაქციის ადსარება.

ამა წლის პირველ ოკტომბერს შესრულდა ოცდა ოთხი წელიწადი რაც ჟურნალი „მწყემსი“ არსებობს. პირველი ოქტომბრიდან გადავდექით მე-25 წელში და მომავალი წლის 1 ოკტომბერს შესრულდება სწორედ 25 წელიწადი. ჟურნალ-გაზეთის არსებობა 25 წლის განმავლობაში სწორედ დიდი საქმეა, მერე ისიც ჩვენს საქართველოში. ჩვენ ვგონებთ, მეტი და უადგილო არ იქნება, რომ ჩვენს მკითხველებს მოუთხრათ ცოტა რამ ამ ჟურნალის დაარსების ისტორია და მისი თავგადასავალი ამ 24 წლის განმავლობაში.

დიდი ხანი არ არის რაც ჟურნალ-გაზეთების გამოცემა დაიწყეს ევროპაში და ბოლოს ჩვენს სახელმწიფოშიაც. უცხოეთში პირველად ბეჭდვითი სიტყვა შეზღუდული იყო და ამისთვის იგი დიდად გავრცელებული არ იყო. გამოცხადდა თუ არა თავისუფლება ბეჭდვითი სიტყვისა მცირეს ხანშიდ გავრცელდენ საოცრად ჟურნალ-გაზეთები უცხოეთში. რუსეთის სახელმწიფოშიაც დაიწყეს ჟურნალ-გაზეთების გამოცემა ათას რვაასი წლიდან. მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთშიაც გამრავლდა ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა. ამ დროს ჩვენს საბრალო საქართველოშიაც მოინდომეს საერო ჟურნალ-გაზეთების გამოცემა და გამოსცეს კიდეც, მაგრამ საშუალების უმექონებლობის მიზეზით ძლიერ ხანმოკლე იყო მათი არსებობა.

1866 წელში, მაღისტრის ხარისხის მქონემ, დეკანოზმა გიორგი ხელიძემ მოახერხა და გამოსცა ორკვირეული სასულიერო ჟურნალი „მოამბე“. დიდის აღტაცებით მიულოცეს ეს დიადი საქმე მამა გიოგი ხელიძეს. მოიმდომა, რომ ჟურნალს დაეყმაყოფილებია რუსებიც და ქართველებიც, ჟურნალი გამოვიდა რუსულ-ქართული და პროგრამაც დროების შეუფერებელი იყო. 1867 წ. სამწუხაროდ, უსახსრობისა გამო ჟურნალი მოისპო არა მიმხედველ მისა, რომ ექსარხოსიც, კანტორაც და ყველა ეპისკოპოსებიც იწვევდენ სამღვდელოებას და საზოგადოებას, რომ გამოეწერათ ეს ჟურნალი...

უმაღლესმა რუსეთის სასულიერო მთავრობამაც მოიმდომა 1873 წლიდამ დაეარსებინი სასულიერო ჟურნალი საქართველოში არა იმ მიზნით რა მიზნითაც არსდებიან ჟურნალ-გაზეთები, არამედ სხვა მიზნებით... ბ. კერსკი, რომელიც სინოდიდან გამოგზავნილი იყო თბილისის სემინარიის სარევიზიოთ, სხვათა შორის, დიდად მაცადინობდა სასულიერო საექსარხოსო ჟურნალის დაარსებას საქართველოში, მაგრამ ვერ მოახერხა თავისი აზრის განხორციელება.:.*)

---

*) იგი სწერდა იმერეთის ეპისკოპოსს, რომ ჟურნალი გვინდა დავაარსოთ საექსარხოსოშიო და რამდენი გამოიწერს თქვენს ეპარქიაში სამღედელობაო? განსვენებულმა გაბრიელმა ჰკითხა, თუ რა ენაზე იქნება ჟურნალიო? რუსულ ენაზე უნდა გამოიცესო- მაშინ ეპისკოპოსმა შეუთვალა, რომ თუთხმეტი ხელის მომწერი ეყოლება ჟურნალს იმერეთის ეპარქიაშიო. იწყინა კერსკიმ ეს პასუხი და დაბეზღებით მოხსენება მისწერა სინოდს, რომ იმერეთის ეპისკოპოსი, წარმოიდგინეთ, ნებას აძლევს სამღვდელოებას თავის ოჯახში ქართულს ენაზე ილაპარაკონ და სავალდებულოდ არ უდგენს სახელმწიფო ენაზე ლაპარაკსო... დაწვლილებით გაბრიელის შესანიშნავ პასუხს სინოდში გაგზავნილს შემდეგ გავაცნობთ მკითხველებს.

ბოლო ხანებში ზოგიერთმა ვაჟბატონებმა ალმაცურად დაუწყეს ყურება სამღვდელოებას.., რაც უნდა უმართლო ლანძღვა გინება და ცილის წამება დაებეჭდათ გაზეთში სამღვდელოებაზე თავის გასამართლებელ პასუხს არ დაუბეჭდავდნენ. ამ მოქმედებამ ჩვენი გული აღაშფოთა და ვსთხოვეთ რამდენიმე ქალაქის „უმაღლეს სამღვდელოებას“ შეგვედგინა ამხანაგობა და სასულიერო—საერო ჟურნალი ან გაზეთი გამოგვეცა. მაგრამ, სამწუხაროდ, ერთმა შემოგვითვალა, რომ ახალი ცოლნათხოვი ვარ და არ მცალიან ჟურნალის გამოცემისათვისო; მეორემ შემოგვითვალა ჩემი პირდაპირი მღვდელობის მოვალეობის გარეშე ხუთი თანამდებობა კიდევ სხვა მაქვს, ბლომად ფულებს ვიღებ და არ მცალიან ჟურნალისთვისო, მით ნამეტურ, რომ ჟურნალებზე მუშაობა კაცს არ გაამდიდრებსო. მესამემ განაცხადა სნეულად ვარ და არ შემიძლია მონაწილეობის მიღება, ჯმნულცა ვარ თქვენგანაო და ასე სხვებმა. ზოგიერთმა საცინადაც აგვიგდო, და შემოგვითვალა: საქმე ამოგწყვეტია, რას დაეძებ ჟურნალსაო, ჩვენი ჟურნალი „კურთხევანიაო“!...

გადავწყვიტე მარტო მეთავა ჟურნალის გამოცემის საქმე და მივეცი თხოვნა განსვენებულ ეპისკოპოსს გაბრიელს იანვრის თვეში 1883 წელს ეს თხოვნა ყ-დ სამღვდელო გაბრიელის შუამდგომლობით მე თვითონ მიუტანე იმ დროს ახლად დანიშნულ ექსარხოს პავლეს. ექსარხოსმა პავლემ შესაძლოდ ვერ დაინახა, რომ მე როგორც სოფელში მცხოვრები მღვდელი რედაქტორად ვყოფილიყავი და მომთხოვა, რომ პასუხის მგებელი რედაქტორი მომენახა ვინმე თფილისის ქალაქში მცხოვრები, დამისახელა კიდეც ხუთი დეკანოზი, რომელთათვისაც უნდა მეთხოვა ჩემგან გამოცემულ ჟურნალის პასუხის მგებელ რედაქტორად ყოფნა. მივედი ყველასთან და ვსთხოვე, მაგრამ არც ერთმა მათგანმა არ ისურვა პასუხის მგებლობა ჩვენი ჟურნალისა. მოვახსენე ეს ამბავი ექსარხოსს და ამასთან განუმარტე დაწვლილებით საჭიროება ჟურნალის დაარსებისა.

—მეც კი ვსცნობ საჭიროდ ჟურნალის დაარსებას, მაგრამ რატომ თფილისის სამღვდელოება არ ფიქრობს ამაზე? მითხრა მან.

—იმისათვის, რომ ქალაქის სამღვდელოება არ ფიქრობდეს ჟურნალის გამოცემაზე სრულებით არაფის აძლევს საფუძველს ამისთვის მე არ მომცენენ ჟურნალის გამოცემისა. „მწყემსი“ იქნება ჩემი საკუთარი ორგანო, მე არავისგან არავითარ სუბსიდიას არ ვთხოვილობ და არასოდეს არ ვითხოვ, რომ ჩემი ორგანო ვისმეს სავალდებულოდ გაუხადონ, როგორც ეს მე თხოვნაში მაქვს დაწერილი, მოვახსენე მე. თუ სინოდს სურს ჩვენში სარწმუნოების განმტკიცება და ქრისტიანული ზნეობის ამაღლება არასოდეს არავის დაუშლის სასულიერო ჟურნალის გამოცემას და არც მე დამიშლის.

—რატომ არ ეცდებით, რომ ქალაქში გადმოხვიდეთ, მითხრა ექსარხოსმა.

—არა მსურს ქალაქში მსახურება, მე მყავს მრავალი არჩეული და არ მსურს იგი მივატოვო ჩემს სიცოცხლეში და ამასთან მე მსურს დაუმტკიცო ყველას, რომ კაცს სამსახური შეუძლია ყოველ ადგილას თუ გულით მოკიდებს საქმეს ხელს, მოვახსენე.

ამის შემდეგ დათანხმდა ექსარხოსი და წარადგინა ჩემი თხოვნა სინოდში ჟურნალის გამოცემაზე. მაშინვე მივმართე ნაცნობ პირებს პეტერბურგში და ვსთხოვე დაეჩქარებიათ ნების დართვა ჟურნალის გამოცემაზე. ერთი თვის შემდეგ პეტერბურგიდან მივიღე ერთი ჩემი საყვარელი და საამედო მეგობრის ფილიმონ გრიგორის ძის წერეთლისაგან შემდეგი შინაარსის წერილი: „თქვენი წერილის მიღებისათანავე წავედი სინოდში და ვთხოვე სინოდის ობერ სეკრეტარს თქვენი თხოვნის შესახებ. სინოდი ეხლა დროებით გადადის მოსკოვში ხელმწიფის გვირგვინოსნების გამო. სხვა სინოდისაგან გასარჩევ საქმეებთან თქვენი თხოვნაც იქ გაიგზავნა. ამ დღესასწაულებისა გამო ყველანი კარგ გუნებაზე იქნებიან და თქვენი თხოვნაც, ეჭვი არ არის, თქვენდა სასიამოვნოდ გადაწყდება. თუმცა ზოგიერთ სინიდის წევრებს, განსაკუთრებით მიტროპოლიტს ისიდორეს კარგად ვიცნობ, მაგრამ მათი თხოვნა საჭირო არ არის. აქ საქმე კეთდება დაბალ მოხელეთაგან და ისინი უფრო ახერხებენ საქმის დაჩქარებას და გაკეთებასაც! დიდები ხელს მოაწერენ ხოლმე მარტო“!..

მართლაც სინოდმა მოსკოვში გადაწყვიტა ნების მოცემა ჟურნალის „მწყემსი“-ს გამოცემაზე.

მოვიდა ნებართვაც მალე და მაშინვე შეუდექით პირველ ნომრის გამოცემას. პირველი ნომერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მწყემსი“-ს ჟურნალისა გამოვიდა 1 ოკტომბერს 1883 წელსა. მოწინავე სტატიაში სხვათა შორის ჩვენ გამოვსთქვით მაშინ შემდეგი სიტყვები:..

„მრავალი მიზეზებია. რომელნიც ხალხის წარმატების და წინ სვლის საქმეს ხელს უშლიან და დიდ ხანს აჩერებენ მას ერთ წერტილზედ. აგრეთვე მრავალი მიზეზების წყალობით მოხდება ხოლმე ხალხის გონებითად და ზნეობითად წინ-ბიჯის წადგმა და წარმატება. მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ისე არაფერი არ ეხმარება ხალხის კეთილ წარმატებას, მის ზნეობითად და გონებითად ამაღლებას და მის კეთილდღეობას როგორც ბეჭდვითი სიტყვა, სხვა და სხვა დრო-გამოშვებითი სალიტერატურო გამოცემები. განათლებულ ქვეყნებში ყოველ თემს, ყოველ წოდებას და თითქმის ყოველ უწყებას აქვს თავისი ორგანო, ჟურნალ-გაზეთები, რომლის საშუალებით ერთი ასწავლის, მეორე სწავლობს, მესამე ხელმძღვანელობს, მეოთხე ბაძავს და ასე ყველა სარგებლობს. ერთს უკავია დროშა ხელში და მიდის წინ, სხვანი მიყვებიან უკან და ერთად ეომებიან უგნურებას, სიბნელეს, უსამართლობას, უზნეობას და სხვა და სხვა კაცობრიობის დამამცირებელ მოვლენათა...

სასულიერო წოდებამ პირველად არ მიაქცია ხალხის გონებით მოძრაობას ყურადღება. წმინდანი მამანი და მოძღვარნი ეკკლესიისანი უფრო ეძიებენ და ითხოვენ მოძღვართა—სარწმუნოების მქადაგებთაგან სიწმიდესა და კეთილ-მსახურებასა ვიდრე ხორციელსა განათლებასა და სწავლა მეცნიერებასა. უმაღლესი სასულიერო მთავრობაც ამ თვისებას უფრო მოითხოვდა სარწმუნოების მქადაგებლებთაგან. ამისათვის სამღვდელოებათაგან მაინც და მაინც დიდ სწავლას არ ითხოვდა. მაგრამ ამ უყურადღებლობამ, ცოტა არ იყოს, ცუდი ნაყოფი მოიტანა, ცუდი შედეგი მოჰყვა: ცხოვარმა თავისი მწყემსის ხმა ვეღარ იცნო და წავიდა ისეთს მხარეს სადეთაც დიდი ხრამია გადასავარდნი. ვეღარ იცნო თავისი მწყემსი, რომელიც ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს თვისი სული დასდვას ცხოვართათვის...

მაგრამ მხოლოდ ჩვენ, სამწუხაროდ, საქართველოს სამღვდელოება და ხალხი ვართ გამოსხლეტილნი ყველა სამღვდელოებათა და ხალხთაგან, რომელთაც არ გვაქვს არც სასულიერო სალიტერატურო გაზეთი და არც ჟურნალი. ის სამღვდელოება, რომელიც ძველ დროში მაღლა იგო გონებითად დანარჩენ ხალხზე და რომლის სიტყვა ქადაგებას დიდი გავლენა ჰქონდა ხალხზე, დღეს გაჩუმებულია და თავის სამწყსოს ზოგიერთ ალაგას, ბევრად უკან ჩამორჩენილი გონებით და სწავლით...

რა გავლენა უნდა ექმნეს ამისთანა სამღვდელოებას ხალხზე? როგორ უნდა დაარიგოს მან თავისი სამწყსო? როგორ უნდა მოეხმაროს იგი ხალხში კეთილ ზნეობითი სწავლის გავრცელებას და როგორ უნდა შეასრულოს მან მტკიცედ თავისი დიდი მოვალეობა? რამდენი ამგვარი კითხვები ტრიალებენ შენს გონებაში!...

აწმყო დროში, რომელიც იწოდება წარმატების დროდ, ყველანი უნდა გრძნობდეს, ღვთისაგან დაცულ ჩვენ საქართველოში დრო და დრო სასულიერო ჟურრალის, ანუ გაზეთის გამოცემის საჭიროებას ქართულს ენაზე. ეს ჰაზრი და საჭიროება, გადის აგერ ათი წელიწადი, განსვენებას არ გვაძლევდა და დღეს, მადლობა ღმერთსა, ველირსეთ მის აღსრულებას. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენთან მრავალნი ჩვენნი თანა მოძმენი და ქრისტიანენიცა ჰგრძნობენ სასულიერო ქართული ჟურნალის, ანუ გაზეთის გამოცემის საჭიროებას და დიდის სიხარულით მიეგებებიან ამისთანა გამოცემას...

იყო დრო როცა ქართველები ეომებოდენ იატაგანებით და თოფებით ამხედრებულ გარეშე მტერთა. წავიდა ეს დრო. დღეს ჩვენში სარწმუნოების და კეთილზნეობის წინააღმდეგ იბრძვიან ხლმით და იატაგანებით კი არა, არამედ კალმებით. ჩვენც კალმებით აღჭურვილ მტერთ უნდა კალმებითვე ვებრძოლოთ. ჩვენ კი ჩენის მხრით ამ საქმისათვის არ დავზოგავთ არც ქონებას, არც გონებას და არც სიცოცხლეს“. (მწყემსი № 1 1883 წელ.

რამდენად აღვასრულეთ ჩვენგან გამოთქმული სიტყვები: ამის გარდაწყვეტა—დამტკიცება საზოგადოებისათვის მიგვინდვია. სრული იმედია, დღეს თუ არა, შემდეგი თაობა, რომელიც კარგად გამოიკვლევს „მწყემსი“-ს ორგანოს სამსახურს, დააფასებს ამ ორგანოს ღირსებას. ამ ორგანოს ფრიად შესანიშნავ თავგადასავალს ვაცნობებთ მკითხველთ 24 ნომერში.

გაგრძელება იქნება.

## სახარება ისტორიაში.

დადგა მეოცე საუკუნე ქრისტე მაცხოვრის შემდეგ, მაგრამ ჯერ კიდევ შორს არის, მანამ ხალხის ცხოვრება მოეწყობოდეს სახარების სწავლის თანახმად. ამისთვის საკვირველი არაა, რომ ბევრს გონია ვითომ ქრისტეს სწავლას ვერ შეეძლოს ადამიანის ცხოვრების გასწორება.

—თითქმის ორი ათასი წელიწადი იქადაგება სახარება,—ეუბნებოდნენ ერთ მორწმუნე ქრისტიანს,—მაგრამ რასა გავს ქრისტეანების ცხოვრება-ო?

—თუ ისინი ეგრე ცუდები არიან ეხლა, როდესაც იმათ აქვთ სახარება,—მიუგო მორწმუნემ,—მაშ როგორები-და იქნებოდნენ ისინი, რომ ქრისტეს სწავლა სრულებით არა სცოდნოდათ? თვალთ-ნაკლები ადამიანები მზის სინათლეზედაც-კი ფეხს წაკვრენ; მაშ როგორ ივლიდნენ ისინი, რომ იმათ გარშემო სრული სიბნელე ყოფილიყო?

რომ სამართლიანად გავსინჯოთ ის, გამოიცვალა თუ არა ადამიანის ცხოვრება იესო ქრისტეს სწავლის გავლენის ქვეშ, მოქმედობს თუ არა ხალხზე სახარება,—უნდა შევადაროთ, როგორი იყო ხალხის ცხოვრება მაცხოვრის დროს და როგორია ეხლა.

ხარკოვის უნივერსიტეტის განსვენებულ პროფესსორს პეტროვს აქვს მშვენიერი სტატია „სახარება ისტორიაში", სადაც ხელოვნურად არის გამოყვანილი ცვლილება, რომელიც ქრისტე მაცხოვრის სწავლამ მოახდინა ხალხში.

„რომი (ქალაქი) მაცხოვრის დროს იყო მბრძანებელი ქვეყნისა. ყოველივე რომს ემორჩილებოდა, და ხარჯს იმას აძლევდა. სიმდიდრე იმისი იყო უთვალავი. რომი იყო დიდად განათლებული ადგილი, მაგრამ მაინც მისი ცხოვრება საშინელება იყო.

„რომი მდებარეობდა მდინარე ტიბრის ნაპირზე, და იყო გაშლილი შვიდ ვერსზე. იქ სცხოვრებდა ორი მილიონი ხალხი; ოთხასი ტაძარი ითვლებოდა; განსაკუთრებით მშვენიერი სანახავები იყვნენ ხელმწიფის და წარჩინებულ პირების სასახლეები, რომელთა რიცხვი ორი ათასამდე ადიოდა. თვითეული ეს სასახლე ცალკე შეადგენდა თითქმის მთელ პატარა ქალაქს. გარშემო ჰქონდა შემორტყმული ბაღები, მშვენიერი აბანოები და სხვა უთვალავი შენობები. შიგნით ყოველისფერი იყო გაბრწყინვებული საარაკო მედიდურობით. ჭერი და კედლები იყო მორთული სურათებით, წვრილი მოჭრილი ჩუქურთმებით და ფერადი მარმარილოებით; იატაკი იყო გაკეთებული მოზაიკით. სამუშაო მაგიდა ან იყო ჩამოსხმული წმინდა ოქროსაგან, ან მთლად იყო გამოჭრილი ერთი დიდი ხის ნაჭრისაგან და ღირდა ჩვენ ფულზე სამოცი ათასი მანეთი. კედლის თაროებზე ათასობით ელაგა ხელთნაწერი წიგნები შესანიშნავ მწერლებისა, თუმცა პატრონი იშვიათად ჩაიხედავდა მათში. იგი იყო გართობილი სტუმრებისათვის, სადილის ან ვახშმის მზადებაში. იმის სუფრაზე მოდიოდა სუყველაფერი საუკეთესო საჭმელ-სასმელი სხვა და სხვა ქვეყნებიდგან: ერთი ადგილიდგან—ღვინო, მეორედგან—ხილეულობა, მესამედგან—გარეული ნადირის ხორცი და სხვა. ერთი ვახშამი უჯდებოდათ ხან და ხან ასი, ასორმოცდა ათი ათასი მანეთი. მოიტანდნენ ისეთ საჭმელებს, რომელიც იყო გაკეთებული ფარშავანგების ენებისგან, ან თუთი-ყუშების ტვინისაგან. სტუმრები ისხდნენ ძვირფას საჯდომებზე. მონები რომლებიც სუფრაზე ემსახურებოდნენ, იყვნენ ამორჩეული ერთი ტანისა, ერთფერი თმისა. საჭმელები სხვა და სხვა ფერ ტანისამოსით მოჰქონდათ: ზოგი საჭმელი —თეთრ ტანისამოსში გამოწყობილებს, ზოგი საჭმელი—მტრედის-ფერ ტანისამოსში, ზოგი—წითელ ფერში და სხვა. გარშემო ჰგრგვინავდა მუსიკა, მღეროდნენ შესანიშნავი მომღერალნი და საუკეთესო არტისტები ლექსებს უკითხავდნენ· სტუმრებს ზევიდგან ასხურებდნენ ძვირფას სუნნელებას, აყრიდენ ყვავილებს. ყველაფერი ეს უჯდებოდათ ძვირ-ფასად, ყველაფერი ეს ძალით წართმეული იყო და ყოველივე ეს უკვე მოწყენილი ჰქონდათ. აძლევდნენ დიდ-ძალ ფულს საჩუქრად იმას, ვინც მოიგონებდა ახალ სასიამოვნო გასართობ რამეს. მთელი სიმდიდრე ქვეყნისა, მთლად გონება ადამისნისა, მთელი მეცნიერება, პოეზია და ხელოვნება ემსახურებოდნენ ხალხს, რომელიც მხოლოდ მუცლისთვის ცხოვრებდა.

თუ მივიღებთ მხედველობაში საზოგადო ცხოვრებას, იქაც იგივე სიცალიერე და უშნოობა იყო. აი შესანიშნავი რომის თეატრი. ორმოცი ათასი მაყურებელი ტრიალებს შიგ დილიდგან მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდებული. მოედანზე იკბინებიან მშიერი მხეცები; ლომები, ვეფხვები, სპილოები და სხვა. ბღავილი, კვნესა და ბღუილია. ყველაფერი სისხლშია მოსვრილი. ხალხი თხოულობს გლადიატორებს. გამოდიან გლადიატორები, განსაკუთრებით გაწვრთნილნი მეომარნი. იწყება ომი ადამიანებისა და მხეცებისა. მოკლულები მიაქვთ. გამოდიან ახალნი მეომარნი. ერთს უნდა სამ კაპიანი შუბი ატაკოს, მეორე შორიდგან იჭერს მას ქამანდით. სხვები ომობენ თვალებ ახვეულები, უდარაჯებენ რომ მოსწყლან ერთმანეთი ხმაურობაზე. იქ გამოვიდა მწყობრი რაზმი მეორის წინააღმდეგ; აქ ომობენ ეტლებზე. სისხლი წყალივით იღვრება, ისმის კვნესა ყვირილი, და ხალხი-კი აღტაცებით ღრიალებს. გაჩქარებული ლაპარაკია ვინ რომელს აჯობებს.

ამნაირად სცხოვრებდა საუკეთესო ნაწილი საზოგადოებისა, წარჩინებული პირნი. დანარჩენ ხალხს-კი უვიცობაში, მონობაში და სიღარიბეში სული ეხუთებოდა. იმათ კეთილ-დღეობაზე არავინ ფიქრობდა. ისინი ხალხთაც არ მიაჩნდათ. ერთხელ ყველა მებრძოლნი დაიხოცნენ, და მხეცები-კი მოედანზე იყვნენ. მაშინ უბრძანეს მაყურებელთაგან, ვინც-კი მოხვდებოდათ, ორი ათეული ადამიანი გადაეგდოთ მხეცებისთვის. ამნაირად ექცეოდნენ თავისუფალ ხალხს. მაშ როგორღა ეცხოვრებოდათ მონებს? არც კანონმა, არც ხალხმა იმათი შებრალება არ იცოდა. უბრალო დანაშაულის გამო უბედურებს სცემდნენ რკინის ჯაჭვებით, ხორცებს აგლეჯდნენ მჭრელი იარაღით, სდაღამდნენ გახურებული რკინით. ავადმყოფს, ან დასახიჩრებულ, მონას, როგორც უსარგებლო პირუტყვს, აგდებდნენ ტიბრის კუნძულებზე, სადაც იგი სრულიად უპატრონოთ კვდებოდა. უბრალო გამოძიების დროსაც-კი აწამებდნენ, და ჯვარზედ სიკვდილი იყო სრულიად ჩვეულებრივი სასჯელი.“

საშინელი დრო იყო, საშინელი ხალხი, საშინელი ზნე-ჩვეულება! ზოგი გადაჭარბებილ სიმდიდრეში იღრჩობოდა, ზოგი-კი პირუტყვსავით სცხოვრობდა. და აი ამ ქვეყნად უცებ გაისმა ხმა სიყვარულისა და ძმობისა. მილიონ ხალხს, დავიწყებულს, შეურაცხყოფილს ეუბნვბიან, რომ ისინიც ადამიანებია, რომ იმათთვისაც ზრუნავს საერთო ზეციერი მამა, რომ მაცხოვარმა იმათაც მოუტანა ხსნა. დიაღ, ამ სწავლის გულისთვის ისინი მზად არიან ტანჯვა-სიკვდილისათვის; და მიდიოდნენ კიდეც, მიდიოდნენ სიხარულით.

ჩვენ, რომელნიც აღზრდილნი ვართ ქრისტიანობრივ მცნებებთი, პატარაობითვე შევჩვეულვართ ქრისტეს სახარების დიად სიტყვებს, ზშირათ ველარ გვესმის, თუ როგორ ძვირფასია ხალხისთვის ესა თუ ის აზრი სახარებისა. კაცს, სიმდიდრეში აღზრდილს, არ ესმის, თუ რა ძვირფასია ღარიბისთვის ერთი ან ორი შაური.

„ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, ნეტარ იყვნენ მშვიდნი, მოწყალენი, წმიდანი გულითა, ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის“... ყველაფერი ეს იყო სხვევები ბრწყინვალე სინათლისა თვალ-გაუვალ სიბნელეში, ხალხმა დაინახა, რომ მის წინაშე იშლება ახალი ცხოვრება; რომ თუ იგი წავა ქრისტეს მოწოდებაზე, იმას ექნება არა მხეცური სამეუფეო, არამედ სასუფეველი ღვთისა. სახარებამ მოუტანა ხალხს თავისუფლება, თავისუფლება ბოროტებისაგან; მოუტანა ამ თავისუფლებისთვის საჭირო ახალი სულიერი ძალა. „თუ გაქვთ სარწმუნოება, და არ ეპვნეულობთ, ეტყვით ამ მთას აღიფხვარ და შთავარდი ზღვად,—იქნება სიტყვისაებრ თქვენისა, თუ არ შეორგულდებით.“

ეხლა უკანასკნელ მონას შეუძლიან ღვთის წინაშე უფრო მაღლა იდგეს რომის მბრძანებელ კეისარზე. ადამიანს აძლევს უმაღლეს ძალას არა უფლება, არა ცოდნა, არა სიმდიდრე, არა შთამომავლობა, არამედ სარწმუნოება ღვთისა და იმის სიმართლისა. ღვთის სიმართლისთვის ხალხი მზათ იყო ყველაფერი დაეტოვებინა. იგი ჰგავდა იმ ვაჭარს, რომელიც ეძებს ძვირფასს იშვიათ მარგალიტს და როდესაც იპოვის, მიდის, ყველაფერს ჰყიდის და იმას-კი ყიდულობს. იმ ხალხისათვის აღარა ჰქონდა ძალა ნათესაურ გრძნობასაც.

კოზმა მინინი, როდესაც უწოდებდა ხალხს მოსკოვის გასანთაკისუფლებლად მტრებისგან, ეუბნებოდა: „თუ საჭირო იქნება, დავგირაოთ ცოლ-შვილნიო“. ქრისტიანისათვის სამშობლოზე უძვირფასესად უნდა იყვეს მიჩნეული სასუფეველი ღვთისა. აი ამისთვის მაცხოვარი ამბობდა: ის ადამიანი, რომელსაც ჩემზე მომეტებულად უყვარს მამა, ან დედა, ან შვილი—არ არის ჩემი ღირსი-ო.

ამნაირად, ყველაზე მაღალი და წმიდა სწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაა ქვეყანაზედ, რომ ნამდვილი ფასი ადამიანისა არის დამოკიდებული პირველად მისი სულის ღირსებაზე, რომ სიმართლე ღვთისა ყველაზე უძვირფასესია, და რომ ამ სიმართლეს ადამიანი ყველაფერს უნდა სწირავდეს,—ყოველივე ეს გამოუცხადა ხალხს ქრისტიანობამ; და თუ ხალხი ათას ცხრაასი წლის შემდეგ ამისთანა მაღალი სწავლისა, მაინც კიდევ ზნეობრივად ცუდია, მაშ მართლაც, რანაირი იქნებოდა იგი, რომ სრულებით არ ყოფილიყო სახარება?

მაღლიდგან დაბლა ჩამოსვლა ან ჩამოვარდნა ადვილია, სულ ერთ—ორ წუთის განმავლობაში შეიძლება, მაგრამ დაბლობიდგან მაღლა ასასვლელად მთელი რამდენიმე საათი, ან დღეა საჭირო. ხალხი მაცხოვრის დრომდი ძალიან ღრმა ჯურღმულში ჩავარდა;—სახარებამ მოიყვანა იგი გონს, აჩვენა როგორ უნდა ავიდეს ზევით, და ხალხი მიდის რამდენათაც ძალა შესწევს. რაც მომეტებულად მაღლა ადის იგი, მით უფრო სუფთა ჰაერია, უფრო ადვილად სუნთქავს, უფრო ძალ-ღონე ემატება.

ჩვენ უკვე გზაზე მოვასწარით ხალხს. დიდი ხანია მიდიოდა იგი, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერ შორს ვერ წასულა.

ნელა მიდის იგი; ხშირად ჩერდება; არა ჰყავს კეთილი წინამძღოლები; იშვიათად ისმის განმამხნევებელი სიტყვა: „წინ! წინ"! თუ გვინდა, რომ ხალხი ჩქარა და მხნედ მიდიოდეს, წინ გაუძღვეთ, და გავიყოლიოთ იგი თან.

დიაღ, მთა ბოროტებისა ჯერ კიდევ დიდი იყვეს! „გაქვდინ სარწმუნოება ღვთისა. ამინ გეტყვი თქვენ, გვპირდება მაცხოვარი, ვითარმედ, რომელმან ჰრქვას მთასა ამას, აღიფხვარ და შთავარდი ზღვად, და არა შეორგულდეს გულსა თვისსა, არამედ რწმენეს; რამეთუ რომელი ჰსთქვას, იქმნეს, და იყოს ეგრე." (არკ. XI, 23.).

მღვ. იოანნე ლუკიანოვი.

# იოანე ოქროპირი და თანამედროვე სასულიერო იერარქია.

წინა დღეებში რუსეთის სინოდის ბრძანებით იდღესასწაულეს ათას ხუთასი წლის თავი იოანე ოქრობირის გარდაცვალების დღიდან (იოანე გარდაიცვალა 407 წელს ქრისტეს დაბადებიდან). იოანე ოქროპირი თავის თავად მართლაც ღირსია მოგონებისა და პატივის ცემისა ამ ჩვენს დროშიაც, მიუხედავად სხვა და სხვა მიმართულება-რწმენისა, მხოლოდ ჩვენის სასულიერო იერარქიის მიერ ოქროპირის იუბილეის დღესასწაული შეურაცხყოფად მიგვაჩნია დიდებულ გვამის ხსენების წინაშე.*)

ოქროპირი მოღვაწეობდა მეოთხე საუკუნის ბოლო წლებში. იგი ჯერ მღვდლად იყო ქალაქ ანტიოქიაში, სადაც სახელი განითქვა მჭევრმეტყველურის ქადაგებით, მტკიცე ხასიათით, პირდაპირობით და წმიდა ცხოვრებით. შემდეგ იგი გაამწესეს კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსად. იქ კიდევ უფრო გაათვართოვა თავის მოღვაწეობა. უფრო აღიმაღლა ხმა ქრისტიანულ იდეების დასაცველად და მოურიდებლად დაჰგმო დასაგმობი, გაჰკიცხა უსამართლობა. არ ერიდებოდა არავის და თავისის სიტყვებით ფარდასა ხდიდა და სინათლეში გამოჰქონდა ის მრავალ გვარი სისაძაგლე და გარყვნილება, რომელიც მეფობდა მაშინდელ წრეებსა და მეფის სასახლეში. რა თქმა უნდა, მქადაგებელმა ბევრი უთვალავი მტერი გაიჩინა როგორც სასულიერო, ისე საერო დიდ-კაცობაში.

როგორც ყოველთვის და ყოველგან, მაშინდელ იმპერატორის სასახლეშიაც კამარილია იყო ცხოვრების მეაღვირ-საჭე კონსტანტინეპოლში მაშინ ბრძანებლობდნენ იმპერატორი არკადი და ცოლი მისი დედოფალი ევდოკია. კამარალიას ფავორიტი და, მაშასადამე, მთელის სახელმწიფოს ცხოვრების ნოტის მიმცემი იყო ვიღაც ევტროპი. ძველიდანვე დაკანონებული იყო, რომ

*) რომის კათოლიკეთა ეკკლესია დიდ პატივს სცემს იოანნე ოქროპირის ხსენებას. ხშირად ხედავთ ფრანგების ეკკლესიაში ძვირფას ბრინჯაოს ქანდაკებას ტაძრებში და ზოგიერთ მართლ-მადიდებელ ეკკლესიებში კი ერთი უბრალო მხატვრობაც-კი არ მოიპოვება იოანნე ოქროპირისა. ამა წელში ზოგიერთ სასწავლებლებში იდღესასწაულეს 1500 წლის თავი იოანნე ოქროპირის გარდაცვალებიდან, მაგრამ ყველგან არ გაუგიათ. უდროვო დროს გაიხსენეს!.. სასწავლებლებში დღეობა გადიხადეს შაგირდების დათხოვით ამ დღეს სწავლისაგან. მეტი რაღა იყო საჭირო?!..

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

F12645

დამნაშავე, რომელიც ეკლესიის შენობას შეაფარებდა თავს, ხელუხლებელი იყო. ეგტრაბიმ ეს კანონი მეფეს გაუქმებინა, მაგრამ რამდენსამე ხნის შემდეგ თვითონვე ჩაგარდა თავის მეორ გათხრილ ორმოში. კაენ-ფის მხედართ-მთავრის კანისსის 'ლსმენით კამარიდამ ეგტრაბი მოიძულა და მოკვლაც დაუბრა. ეგტრაბი გაიქცა და თავი ეკლესიას შეაფარა. ოქრაბირმა ამ შემთხვევის გამო ჩანებული სიტყვა წარმოსთქვა. „ჯერ ეგვალს თვალწინ სანინდად გაჭეცხა გამოქცეული ეგტრაბი. მოაგონა ,რა დაუგრამეალა ქვეყნიერი დიდება და რა ტრუ ეს წუთი-სოფელი. ის, ვის წინაშეც გუშინ ეგვალანი კანკალდნენ და ვინც გაუქმა დამნაშავეთა ეკლესიაში თავის შეფარება, აი დღეს იმავ ტრაპეზს ებღაუჭება და საფარველს თხოულობსო. ოიანეს მოსთხოვეს ეგტრაბი კაეცა. მან ტიკი უარი შეუთვალა. მართალ-მორწმუნე მეფის ბრძანებით შეტვივნენ ეკლესიაში ჯარის-კაცები, დაატრიალეს შიგ ხმალ ხანჯალი: ეტნენ ოქრაბირს, კამოათრიეს საყდრიდან. მაგრამ ამაო იყო ეოგეალი ცდა, ოიანე ოქრაბირი მტკიცედ იდგა თავის კალაწყვეტილებაზე და ეგტრაბი მაინც არ კასცა.

მაშინ ქრისტიანობა წარმართობაზე ახლად გაბატონებული იყო. მაგრამ საუკეთესო დაგინებული ეპისკოპოსი—მღვდელი მაინც ბევრი მოიძებნებოდა, ამათ საშინლად შეიძულეს ოიანე, რომელიც მღვდელ-ეპისკოპოსებისაგან თავდაბარველად თხოულობდა მწყემსობას, საეკლესიო წესის მექანიკურად შესრულებას. საშინლად გალაეტერა საუბრების კამარიდია დედოფალ ევდოკიას მეთაურობით. ხანიათით საუტი იმპერატორი არკადიც მათ ფეხის ბმარ აჭეკა და ამნაირად ოიანე ოქრაბირის წინააღმდეგ საშიში დასი შესდგა. ეგვალაზედ ეფრო კალაეტერა ოიანეს გოტეების წინამძღოლი კანისსი, რომელიც რეფინის საკვდილისა და ეგტრაბის დამცველების შემდეგ კამარიდიას ფაბორიტი და, მაასადამე, იმპერიის ბირველი ბირი შეიქმნა.

ამხედრდნენ ბნელი ძალები ბატიოსან კაცის წინააღმდეგ. დასწამეს თავ-მომწონობა, სასასტიკე ხელქვეეთ სამდვალდოების მომარო, უწმინდური ცხოვრება, ანკარება(?), მთავრობის წინააღმდეგ ხალხის აღეგვება...

ოიანეს თანამგრძნობელი იყო ნახევარი მშიერი მასსა, ხალხი, რომელიც ბირდაბირ ათასობით ირეოდა იმის კოთალრის ირგვლივ და არა თუ ამბენდა, ბირდაბირ ჭალაბაედ იმის მარდალ და ოქრაგან სიტყვებს. მოძღვარს მალალ ეჭირა დროშა სიმართლისა, მწყემსი კეთილი, რომელიც იყო „კარით კარძო შესული ცხოვართა თანა“, და არა „სასეალდით დადგინებული“, სგეექა და ჭეუნდა; ის არ ერიდებოდა არც კამარიდისს. არც ალეოფალს და ხმა მაღალ ამხილებდა ეგვალს თვალთ მაქცობას, ანგარებას და გარეგნიდებას.

ეშეკრებოდნენ გაკაძეგები, ქონებას წაგართმეგთ, მოგკვალეთო! ის კი გულ დამშვიდებით ამბობდა: „ადზგა ქარიშხალი ძალიერი, ჩვენ კი არ გვეშინიან დანთქმისა, რამეთუ დამგვიდრებულ ვართ კალაეს ზედა, რისა უნდა მეშინოდეს მე? სიკვდილისა? მაგრამ ქრისტე არს სიცოცხლე ჩემი, ხალალ სიკვდილი სასიამოვნო სიზოგნელი! კალასხალეებისა? მაგრამ უფლისა არს ქვეყანა და სავსეა მისი. ქონების წარმეგვისა? მაგრამ მე არაფერი მომიტანია ამ ქვეყნად და თანაც არაფერს წავიღებ!.“

იტეთ მეკობრებო რისთვის მალეგნიან მე?—ეუბნებოდა იგი თავისს ურიცხვ მსმენელებს?—იმისთვის, რომ არა მაქვს ძვირფასი ფარჩის სამოსელი და არ ვმართავ სალამებს და არ ვსტეფალ მეფეთა ხორებს... „ნაშობი იქალისა კეალვ გაბატონდა“, **უშიშრად გრგვინავდა იგი, „კეალვ გიეფმაკობს ირაკლიადა. მოსწეურდა სასხლი ოიანესი, სურს თავი მისი ფეშხუმეთა და ამისათვის ხტის და რაკაკვს“.**

რა თქმა უნდა, ასეთი ბირდაბირი სიტყვები ჯაეშუშებს დაუეონებიგ მიჭქონდათ დედოფალთან, ისიც ბირიდან ტოფსა ჭერიდა და ოიანეს დასალეუნად სამსალს ამზადებდა.

ბოლოს გაამარჯვა კამარიდიამ. ერთ საღამოს სოფლის ტაძარში შეტვივნენ ჯარის-კაცები, გამოათრიეს ოიანე ოქრაბირი, ჩასვეს უბრალო ნავში და ქალაქიდან გაალეეს. ეს იყო 402 წელს. მაგრამ კამარიდიას შეეშინდა ხალხის აღეგვებისა და ისეგ უკან დაბრუნა მქადაგებელი. ოიანემ მაინც განაგრძო თავის მოდგაწეობა ერთხალგე არჩეულ ნათოფლის გზით. ორი წელის შემდეგ მტრებმა საბოლოოდ გაალეეს იგი და 407 წელს ტეფეობაში განუტეგა სული. „თქვენთვის დამიტოვებია სასახლეც და ბირმოთნეობაცა“, დაუბარა ვინაც ეკალრებოდა ამ სოფლის სამუდამოდ თავის დანებების წინ ოიანე ოქრაბირმა.

და ახლა, ჭიი სკვეირველებავ! 1500 წლის შემდეგ, ონამედროვე საეკლესიო იერარქია ბრძანებასა სტემს, ოიანე ოქრაბირის ბატიეასტემად დადასაწყალი გამარეთეთ!.. („ისარი“)

108

## ნანგრევთან.

ნათლისკენ სრბოდით ადგსიდან გულით,
დგთის სათნო ეოფაა სიყვარულ-გრძნობით,
მხნე სულით, ქრისტეს ერთგულ მხედრნო,
მქუსარის სოფდით აქ მოიდტოდით.

კდლისა მდგომეში შვრებოდა ხორცი,
ურწყულ ულანნოს მწყურვალე-მშიერ,
ფერხნი უძდურნი მარხვისა გამო
და ხორცნი ცვდილნი ზეთისა მიერ.

ქვენა-გრძნობათა მომკვდელ-მორგუნველი
ნათელს იმოსდა სული, ჭვავოდა,
ამადდების და წინსვლისკენ მავდთ
ედგა კოტონად, წინამძღვარობდა.

წარვიდენ დრონი. სამშობლო არეს
უკუნ-წევდიადი კადაეფარა
ირგვლივ დუმილი მკვდრული სიჩუმე,
უკედგან ნანგრევი, უკედგან იარა.

მიბნდა ვარსკვლავი მანათობელი
ცხოვედ-სხიკვების ადმომდინარე
და დობლებულ ცხოვართა შორის
დრბის კვლარძნილი დომი მძვინვარე:

ხმა უშიშარი, სიმართლის ქნარი,
არდარა ისმის დადუმებულა,
მოწამეთ სისხლით მორწყულ მადამოს
ქვემძრომი, მხეცი დამკვიდრებულა.

ონოფრე მწირი.

---

## ეპისკოპოზი გრიგორი.

ამას წინად „ისარ"-ში დაიბეჭდა მარტვილიდან კორესპონდენცია, რომლის ბოლოშიაც მოწერილი იყო შემდეგი: „ამავე დღეს დაკრძალეს გარდაცვალებულის ეპისკოპოსის გრიგორის გვამი" ამის წაკითხვაზე უნებლიეთ გამახსენდა ერთი საღმრთო საგალობელი: „ჭეშმარიტად ამაო არს ყოველივე კაცობრივი... სადა არს ოქრო, გინა ვერცხლი, მონათა სიმრავლე და ამბოხი", დიახ, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ნამყოფი, ერთ დროს ძლევა-უფლებით მოსილი, მეგობარ-თაყვანის მცემლებით გარემოცული, „ბატონად" წოდებული გრიგორი გარდაცვლილა და ერთი მოჭირნახულე არ აღმოუჩნდა, რომ იმის აღსასრულის ამბავი უბრალო სამგლოვიარო განცხადებით მაინც ეუწყებინა ქვეყნისათვის. მაგრამ აქ გასაკვირალი არა არის რა. ყალბ საფუძველზე დამყარებული მეგობრობა უიმედოა. პირმოთნეობით ნაკმევი გუნდრუკი ყნოსვას ვერ დაატკბობს. ბოლო აგვირგვინებს საქმესაო, და ვინც გრიგორ ეპისკოპოსის ცხოვრებას იცნობდა, იგი უეჭველია დამეთანხმება, რომ იმის ცხოვრების ბოლო ასეთი უფერული და უპატიო უნდა ყოფილიყო.

თუმცა მეორე რომაული ანდაზა ამბობს, რომ მიცვალებულზე ან კარგი უნდა სთქვა ან სულ არაფერიო, მაგრამ ამ ანდაზის გამოთქმის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და დროა ავს ავი უწოდოთ და კარგს კარგი, სულ ერთია, ცოცხალზეა ლაპარაკი თუ მიცვალებულზე.

გრიგორ ეპისკოპოსი ცოცხალი მაგალითი იყო იმისი, თუ რა ნაყოფს მოიტანს სათნოების ნიღაბ გადაფარებული ანგარება. მისი მოქმედებანი ცოცხალი ბარომეტრი იყო ჩვენის მოქალაქობრივ მოუმწიფებლობისა, ზნეობრივ და გონებრივ ქესატობასა, ხასიათის სისუსტისა და ბრმად თაყვანისცემისა არსებულ ტრადიციისა. თანამედროვე ოფიციალურ ეკლესიის იერარქია ერთად აღებული ხომ თავის თავად სიყალბეა და დაცინვა ქრისტიანობისა, იმ ქრისტიანობისა რომელსაც ქადაგებდა იესო ნაზარეველი, მაგრამ განსვენებულმა ეპისკოპოსმა ყოველ გვარ წესს გადააჭარბა.

ღირს შესანიშნავია, რომ მისი ცხოვრება დაბადებიდანვე ყალბ ნიადაგზე იქმნა აშენებული. იგი დედის მუცელშივე ბერად დასახეს, მაგრამ არა სულის ცხოვნებისათვის, არამედ იმიტომ ,რომ ჭყონდიდელი გამხდარიყო, და მდიდარ საეკკლესიო მამულებს დაჰპატრონებოდა. მართლაც ბევრის დავიდარაბის, ბევრის პროტექციისა და სხვა და სხვა საშუალების შემდეგ 1886 წელს იგი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად გახდა და ამ დროიდან იწყება მისი მოქმედებანი. წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელსაც ხაზინიდან. ყოველ წლობით ეძლევა რამდენიმე ათასი მანეთი, მუქთად აქვს მშვენიერი სასახლე, ჰყავს ეტლი ძვირფას ცხენებით; სადაც ფეხს გადადგამს და ხელს გააქნევს. ყველანი ქედს უხრიან და ხელზე ჰკოცნიან, ცოლი არა ჰყავს სარჩენი და შვილი, არავითარ საქველმოქმედო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეს ან მოსწავლეთ ან სკოლას არ ეხმარება; მაგრამ არა თუ ყველა ამით კმაყოფილი არაა, პირიქით, ყოველ ღონეს და საშუალებას ხმარობს, რომ ერთი ორი გროში კიდევ საიდანმე შეიძინოს და ამისათვის მზადაა ყოველნაირი საქმე ჩაიდინოს. გრიგორ ეპისკოპოსმა სამღვდელ-მთავრო სახლი სავაჭრო დუქნად გადააქცია. ფულს თუ ბლომად მიუტანდი, ვისაც გინდოდა, გამღვდელ-გაადიაკონებდა. 1886—1898 წლებში გურია-სამეგრელოში ვის გინდა, რომ ანაფორა არ ჩაეცვას. ფოთში არსებობს ეგრედ წოდებული საეპარქიო სანთლის ქარხანა. ქარხანაში დამზადებული სანთელი იყიდება ეკკლესიებში და მოგება ხმარდება სხვა და სხვა საეკკლესიო საჭიროებას, მომეტებულად-კი სას. სასწავლებელს. კანონით საეპარქიო ქარხნის სანთელი მონოპოლიაა, სხვას უფლება არა აქვს მოამზადოს და გაჰყიდოს წმინდა სანთელი. საეპარქიო ქარხანას თავისი ბეჭედი აქვს, რომელიც აკრავს ყოველ სამთელს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსეთიდან გამოიწერეს წმინდა სანთელივით ჩამოქნილი სუროგატი, ბეჭედი მოაჭრევინეს, გაიჩინეს საიმედო პირნი და ვაჭრობაც გააჩაღეს. ამ საქმეში ეპისკოპოსიც მონაწილეობას იღებდა. მე შენ გეტყვი, მუშტარს ვერ იშოვიდნენ* ერთგული ბლაღოჩინები სიამოვნებით ყიდულობდნენ ამ სანთელს და სწრაფადაც ასაღებდნენ „გააზნაურებულებზე“ (ქრთამით ნაკურთხ მღვდლებზე). ყველა ეს ხდებოდა, რასაკვირველია, ჩუმად, მაგრამ ისე კი, რომ ყველამ იცოდა. ამ ნაირად ფოთში მოქმედებდა სანთლის ორი მაღაზია: ერთი ლეგალური, მეორე არა ლეგალური. არა ლეგალურ ფუთ სანთელს იწერდნენ რვა მანეთად და ჰყიდდნენ 40 მანეთად, ე. ი. 300% მეტი წმინდა მოგება რჩებოდათ. ლეგალური მაღაზია კი სულს ღაფავდა და გაკოტრების პირას იყო. დრო-გამოშვებით რევიზორიც ინიშნებოდა ეპარქიაში, კარგად დაათვალიერეთ ყალბი სანთელი არავინ გაჰყიდოსო.

მერე სად მიდიოდა, ან რას ხმარდებოდა ამდენი ფული? თავის დღეში არ დამავიწყდება ორი საწყალი მედავითნე ზოსიმე და ბეჟანა. ორთავენი ერთად ორ შტატიან ეკკლესიაში მსახურებდნენ. ორივე წვრილ შვილით იყო დატვირთული. ეპისკოპოსმა ერთსაც გამოართვა ორასი მანეთი და მეორესაც და მთავრად კურთხევა აღუთქვა. რამდენიმე წელიწადი ატყუილა ორივე და ბოლოს იმის ბატონობასაც ბოლო მოეღო და მედავითნენი მედავითნეებადვე დარჩნენ.

მერე როგორ უყურებდნენ ასეთ მოვლენებს თანამედროვენი? ინტელიგენციის წარმომადგენელნი სადარბაზოდ დადიოდნენ მასთან ხანდისხან, სხვათა შორის, ვინმე ნაცნობის კურთხევასაც სთხოვდნენ, მუსაიფობდნენ, ელაქუცებოდნენ, ქებას ასხამდნენ. სამღვდელოება მოდიოდა ქუდ გადაგლეჯილი. მოჭონდა ფული და სხვა. ისიც ბევრ გლეხს „აზნაურებდა“.

როცა ეპისკოპოსს ძალა ხელში ჰქონდა, ცა ქუდად არ მიიჩნდა და დედამიწა ქალამნად. მეგობარ-თაყვანის მცემლები ბუზივით გარს ეხვევნენ. არა ერთმა და ორმა გაისქელა ჯიბე იმის მიერ ზემორე თქმულ სამთლებით შეძენილ ფულით. თქმა არ უნდა, იყვნენ მისი საქციელით უკმაყოფილნიც, მაგრამ მათი რიცხვი უმნიშვნელო იყო. ბოლოს „მოღვაწეობას“ ძირი გამოუღეს ჩამოერთვა. ბატონი დასაჯეს, მაგრამ, როგორ? სწორედ ისე, როგორც ზუთხი სწერია კრილოვის არაკში. ზუთხს ხომ პატარა თევზების განადგურებისათვის ჩამოხრჩობა ზღვაში გადაგდებაზე შეუცვალეს. ასე უყვეს გრიგორ ეპისკოპოზსაც. ეპისკოპოსობა ჩამოართვეს, სამასი თუმანი პენსია დაუნიშნეს და მარტვილის მონასტერში მშვენიერ სასახლეში დაბინავეს.*)

(„ისარი“).

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ტიმოშკინის ჩექმები და კარლოსის პაჭიჭები.** კავკასიის დეპუტატებმა, ორის უკიდურესის მიმართულების წარმომადგენლებმა, ერთმანეთს ხელი მისცეს და ერთნაირის სიცხარით, ერთნაირად სასაცილოდ გადასთელეს რუსეთის ორის დაჩაგრულ ერის სანუკვარი—პოლიტიკური თვითმართველობა, ავტონომია. ტიმოშკინმა თავის

*) ჭეშმარიტად მართალად არის ნათქვამი, რომ მკვდარზე კარგი თუ რამე ითქმის, თორემ ცუდ სიტყვას არაა ქვს მნიშვნელობაო. საკვირველია, თუ ამ სტატიის ავტორმა ყველა ესენი იცოდა მის სიცოცხლეში რატომ არ ამოიღო ხმა? ქრთამს ახდევინებდენ საკურთხ კაცებსო და საკურთხი კაცები უცოდინარნი იყვნენო!.. განა მარტო სამეგრელოში იღებდენ ქრთამს საკურთხი კაცებიდან?...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტლანქი, ტლახით გასვრილ ჩექმებით გადალახა ქართველ ერის კანონიერი სურვილი და უფლება და პარლამენტის ტრიბუნიდან დასძახა, აღუკრძალეთ ქართველებს „წერა შესახებ ავტონომიისა და ავტოკეფალიისაო", ხოლო კარლოს ჩხეიძემ თავის იმერულის, ბინძურის პაჭიჭებით, გადასთელა პოლონელ ერის, მთელის ერის იდეალი და ცხოვრების საწადელი, ერის თავისუფლების სიმბოლო-ავტონომია, და მთელ პარლამენტის სასაცილოდ განაცხადა: „არ შემიძლიან არ აღვნიშნო ის პასუხი, რომელიც მიიღო პოლონეთის კოლოს ბელადმა დმოვსკიმ მემარჯვენეებისაგან (რაღა ტიმოშკინს ტაშს უკრავთ). სამართლიანად უთხრეს მას, რომ **პოლონეთის ავტონომია მხოლოდ იქნებაა...** იმ დრომდე, სანამ პოლონეთში არ მოისპობა არსებული დამოკიდებულება პროლეტარიატსა და გაბატონებულ კლასთა შორის, პოლონეთი ავტონომიას თვალითაც ვერ დაინახავსო (სიცილი)".*)

ტიმოშკინის ჩექმები ქართველთ ერისათვის სასიამოვნოც არის. ის გვისურათებს ჩვენში ჩამოსახლებულ რუსთა ელემენტს და უკეთესი დამახასიათებელი იმ ნაყოფისა, რომელიც ჩვენში ბატონობას გვიწევს, არც კი მოიპოვება, ამიტომ არც გული გვტკენია, მხოლოდ გულით გავიცინეთ იმათთან ერთად, ვინც იმის სისულელეზედ იცინოდა.

მაგრამ რას იფიქრებს მთელი პოლონეთი, რომელიც ერთ სულ და ერთხორც გამოდის პოლიტიკურის დამოუკიდებლობის — ავტონომიის მომთხოვნელად? რა უნდა იფიქროს, როცა გაიგებს, რომ ქართველ „მუშა ხალხის" წარმომადგენელმა თავის წვირიანის პაჭიჭებით შებღალა მთელის ერის იდეალი და სალტოლველი საგანი? რატომ ვერ იგრძნო ქართველ ხალხის „წარმომადგენელმა", რომ მთელ „დუმა"-ში მარტო ისა და იმის ამხანაგია ქართველების დეპუტატად და რომ ასეთი გალაშქრება პოლონელების წინააღმდეგ მთელ ქართველის ერის უტაქტიკობისა და ბრიყვობის მაჩვენებელი იყო? ან რა ჰყრია ამ სულელურ მეტიჩრობაში? ან ლოღიკა, ან დიპლომატია, ან ზნეობა, ან რიგიანობა? სოციალ-დემოკრატია ამბობს: „არ შემიძლიან არ აღვნიშნო მემარჯვენეთა პასუხი დმოვსკის მიმართო," და, ბოლოს, კვერს უკრავს მათ. განა ეს თვით პარტიის პრინციპების მხრითაც დასაგმობი არ არის? კაცი იფიქრებდა, სოც.-დემ. თუ უარს ჰყოფს ავტონომიას, სულ სხვა უგნურებით, რომელსაც მემარჯვენენი იჩენენ. ან რა საჭირო იყო დმოვსკისა და მთელი პოლონეთის გაჯოხვა, რა უძლეველი ძალა დაინახა მათში და რა პირით გაილაშქრა იმათ წინააღმდეგ? ამას ვერ გაიგებს ვერც ერთი ჭკუათა მყოფელი ადამიანი, ვერ გაიგებს ისე, როგორც მას, რომ პირველი ნაბიჯი პოლიტიკურ ასპარეზზედ ჩვენმა ერმა თავის თავის უარყოფით აღნიშნა. ვერ გაიგებს ისევე, როგორც იმას, რომ რევოლიუციონური მოძრაობა ჩვენში ხალხის სულის გენიოსის სისხლით შეიღება; ვერ გაიგებს ისე, როგორც იმას, რომ ქართველმა ერმა ისეთი „საუკეთესო კაცები" გაჰგზავნა და გამოჰფინა სამჯერ საქვეყნოდ, რომელნიც ჩვენის ერის სახელის შემარცხვენელნი გამოდგნენ და რომელთაც ეს არ იკმარეს და სხვა ერის წმიდათა წმიდას ბინძურ პაჭიჭებით შემოსილი წიხლი ჰკრეს.

ჩვენი სირცხვილის მომრეცხი და ბოდიშის მომხდელი პოლონელ ერის წინაშე კი ის იყოს, რომ უმსგავსო და საზიზღარმა რეჟიმმა ჩვენში ასეთი დამცველები გაუჩინა კაცობრიობის უმაღლესს იდეალს, რომლის მაგალითი კარლოს მე-II-ს სახეში ნახეს... სხვა აღარა გვეთქმის რა...

## სტესსელის მოღვაწეობა პორტ-არტურში.

დიდი უფლება მიითვისა სტესსელმა, პორტ-არტურის სხვა მმართველთა. კომენდანტს და მთავარ სამოქალაქო კომისარს აღარაფრად აგდებდა, ყველა მათ განკარგულებას ან აუქმებდა ან სცვლიდა. აი უფრო თვალსაჩინო მაგალითები: პორტ-არტურის გამაგრება მაშინ არ იყო დასრულებული. გენ. სმირნოვის ინიციატივით სამხედრო ინჟინერები გაფაციცებით მუშაობდნენ „მეორე და მესამე მოსაგერებელ ლინიების" გასამაგრებლად. სტესელმა უეცრად ბრძანება გასცა — შეაჩერეთ ეს მუშაობაო. გენერლები შეშფოთდნენ, და დაუწყეს სტესელს მტკიცება — რამდენად საჭიროა ამ ლინიების გამაგრებაო; მაგრამ სტესელი თავისას არ იშლიდა და მუშაობა შეაჩერებინა. რამდენსამე ხანს ინჟინრები „მალულად, როგორც ქურდები, ღამით მუშაობდნენ", მაგრამ მალე იმათაც მოაბეზრდათ ასეთი მოქმედება და თავი დაანებეს... კომენდანტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა ბრძანება გასცა, ღამით ფარნები ნულარ დაინთება ქუჩებში, სახლებიდანაც სინათლე არ გამოჩნდესო; ეს საჭირო იყო, რადგან იაპონელთა ფლოტის ზარბაზნებისთვის მშვენიერ მიზანს წარმოადგენდა თურმე ღამით გაჩაღებული პორტ-არტური. პირველ ღამეს ბრძანება ყველამ აასრულა გარდა სტესსელისა, რომლის სასახლე ჩვეულებრივზე უფრო ვაჩაღებული იდგა. ჟანდარმთა კორპუსის უფროსმა თავ. მიქელაძემ მოწიწებით გაახსენა გენ. სტესსელს კომენდანტის ბრძანება, მაგრამ გენერალი დაემუქრა მიქელაძეს არესტით და ამ გვარად სმირნოვის განკარგულებას ყოველი ძალა დაუკარგა... თან და თან, პორტ-არტურის გამაგრებისათვის საჭირო ფული შემოაკლდათ. ბანკი, ხაზინა და ჯარის სხვა და სხვა ნაწილთა კასსები დაცარიელდა. მაგრამ რადგან ჯერ პორტ-არტური არ იყო სრულიად მოწყვეტილი, ფული ცოტ-ცოტად მოდიოდათ და დღე-დღეზე ბევრს მოელოდნენ. რათა მუშაობა არ შეჩერებულიყო, გენ. კონდრატენკომ მიჰმართა თხოვნით სტესელს – 50 ათასი მანეთი გვასესხეთ თქვენი კორპუსის კასსიდანაცაო. სტესსელს 1,200,-000 მანეთი ჰქონდა მაშინ, მაგრამ ცივი უარი შეუთვალა. კონდრატენკო და სხვა და სხვა გენერლებიც მიიჭრნენ სტესსელთან და აუხსნეს—მუშაობა შეჩერდება და დავიღუპებითო. სტესსელმა უპასუხა —ეს ჩემი საქმე არ არისო და ფულის სესხებაზე უარი უთხრა. ძლივს ძლივობით რამდენიმე ათასი მანეთი გამოართვეს... ნოემბერში სხვა და სხვა სენი გავრცელდა ჯარის კაცთა შორის. ექიმებმა განაცხადეს, საჭმელი უნდა გაუმჯობესდეს და მოემატოსო. სურსათი ბლომათ იყო და ამიტომ სამხედრო საბჭომ გადასწყვეტა—გაძლიერდეს და გაუმჯობესდეს ჯარის კაცთა გამოკვებაო. სტესსელმა თავის ნებით გააუქმა ეს განკარგულება და მთელი გარნიზონი დასნეულდა... სტესსელი წინ უდგებოდა ყოველს განკარგულებას, ხანდისხან ისეთ წვრილმანებსაც, რომელიც ხსენების ღირსიც არ იყო; უფრო ხშირად-კი ისეთს, რომელთაც სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ციხის დაცვის საქმისათვის.

**ციხეზოუსთან ბრძოლა.** ციხე ციხეზოუ სამართლიანად ითვლებოდა პორტ-არტურის კარებად, მშვენიერი ბუნებრივი სიმაგრე ციხეზოუ გზაზე ეღობებოდა იაპონელთ და მის აუღებლად პორტ-არტურს ვერაფერს დააკლებდნენ. ამიტომ კურაპატკინს ნაბრძანები ჰქონდა—მის დაცვას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთო. სტესსელმა მისი დაცვა გენ. ფოკს ჩააბარა; გაუგზავნა ორი პოლკი, თვითონ-კი პორტ-არტურში დადგა მთავარის ჯარებით. 12 მაისს იაპონელებმა დაიწყეს თავისი შესანიშნავი ოპერაციები ციხეზოუს წინააღმდეგ. პირველ ორ დღეს ზარბაზნებს უშენდნენ და ორი-სამი იერიშიც მიიტანეს; 13 მაისს ნაშუადღევს, ერთის უნაყოფო იერიშის შემდეგ, სროლას თავი დაანებეს და სულ შეჩერდნენ. ფოკის ხელ-ქვეითმა გენერალმა ნადეინმა მაშინვე შიკრიკები გაგზავნა სტესსელთან: მტერი, დიდის ვნების მიყენებით, უკუვაგდეთ და მათი ზარბაზნები გავაფუჭეთ და ჩავაჩუმეთო. სტესსელმა არც აცივა, არც აცხელა, მაშინვე კურაპატკინს დეპეშა გაუგზავნა—ნაპირზე გადმოსული მტრის ჯარი მოვსპეთ და ბრწყინვალედ გავიმარჯვეთო! თან საქმე ისე გამოიყვანა, ვითომ თითონაც იქ იყო და ბრძოლას ხელმძღვანელობდა... მესამე დღეს—15 მაისს—იაპონელებმა კვლავ ასტეხეს საშინელი სროლა, გაიმეორეს იერიში და ბოლოს—16 მაისს—ბრწყინვალე იერიშის შემდეგ ციხეზოუ აიღეს. რუსებმა დასტოვეს ზარბაზნები და არეულ-დარეულები გაეშურნენ პორტ-არტურისაკენ. ამ ბრძოლამ გამოაჩარავა სრული უცოდინარობა და სიმხდალე გენ. ფოკისა; იგი ისე დაიბნა, რომ აღარ იცოდა, რა ექნა; მსწრაფლ გაიქცა სადგურ ტაფაშინძისაკენ და მთავარი გამგებლობა ბრძოლისა პოლკოვნიკებს დაუტოვა; მე იქიდან დაგეშველებით, როცა საჭირო იქნებაო. ბოლოს მთელი ჯარი დაუხვედრა იაპონელთ, მაგრამ რაღას უშველიდა და უკან დაწევის ბრძანება გასცა. ამ დროს იაპონელებმა ზღვიდამ მოუარეს კიდეც და ციხე აიღეს... სტესელი მაინც არ გატყდა. კურაპატკინს გრძელი რელიაცია გაუგზავნია, სადაც არწმუნებდა მას—იძულებული ვიყავით მწყობრად უკან დავწეულვიყავით საგმირო და ცხარე ბრძოლის შემდეგაო; ზარბაზნები თან წავიღეთ, მხოლოდ უვარგისი ძველი ჩინური ზარბაზნები დავტოვეთო; ფოკმა და ნოდეინმა საარაკო გმირობა გამოიჩინესო და გთხოვთ სისხლის ჯვრებზე წარადგინოთ ისინიო და სხვა. გამოძიებამ საეჭვებით დაამტკიცა, რომ სტესელი მტკნარ სიცრუეს სწერდა კურაპატკინს,

ხოლო ფოკის არარაობა ყველასათვის ცხადი შეიქმნა ამ ბრძოლის შემდეგ.

კაპიტულიაციის შემდეგ მოხდენილ აღწერილობიდან აღმოჩნდა, რომ ციხეში მაშინ კიდევ ბევრი სურსათი და იარაღი ყოფილა. ჩვენ აქ ყველაფერს ვერ აღვნუსხავთ, მაგრამ ზოგ რამეს ამოვწერთ საბრალმდებლო ოქმიდან... კომენდანტის საწყობებიდან გადაეცა იაპონელთ: ფქვილი 40 დღის სამყოფი (მთელ ციხისათვის). ბრინჯი 22 დღის სამყოფი, სუხარი 15 დღის სამყოფი, მარილი და ჩაი რამდენიმე თვის სამყოფი, შაქარი ერთი თვის სამყოფი და საქონელი 2500 სული. ნავთ-სადგურის საწყობებიდან კიდევ გადაეცა იაპონელთ სხვა-დასხვა სურსათი, არა ნაკლებ ერთის თვის სამყოფი. ცალკე ქალაქის საწყობებიდან გადასცეს იაპონელთ ნახევარი თვის სამყოფი ფქვილი და რამდენიმე თვის სამყოფი ბრინჯი... არტილერიის უწყებამ ჩააბარა იაპონელთ: 312 ზარბაზანი, 31,845 ყუმბარა და 1,255,935 პატრონა, აგრეთვე მრავალი თოფი და ტყვია-წამალი... როგორც ამიდანაც სჩანს, არც ისე გაჭირვებული ყოფილა პორტ-არტური!..

**დასკვნა.** საბრალმდებლო ოქმი თავდება თითოეულ გენერლის დანაშაულობათა აღნუსხვით. მრავალია ეს დანაშაულობა, მაგრამ ჩვენ იმათ აღნიშნას არ შეუდგებით. ჩვენთვის ისიც საკმარისია, რაც ამოვიწერეთ: საზარელი სურათი ზნეობრივ და გონებრივ დაცემისა ისედაც ნათლად გვეშლება თვალ-წინ. სასამართლო გაარჩევს, ალბათ, სტესელის და სხვა ბრალმდებულთა დანაშაულს: უეჭველია, მოხუც გენერლებისაგან შემდგარი სასამართლო სასტიკად არ მოეკიდება გასაჭირში ჩავარდნილ თავის ამხანაგთ. არც სამართლიანი იქნება ამათი სასტიკად დასჯა! მართლაც, განა ბრალდებულთა სკამებზე მარტო სტესელი, ფოკი და სმირნოვი ან რეისსი უნდა ისხდნენ? რატომ თვით ის 150 მოწმე გენერლები და ადმირალები, აფიცრები და მოხელეები, რომელნიც ამ პროცესიისათვის დაუბარებიათ, რატომ ეს მოწმენიც არ უნდა იყვნენ ბრალდებულთა სკამებზე? გენ.-ადიუტ. კუროპატკინი, რომელმაც მინისტროობის დროს აღამაღლა და დააწინაურა რა უნიჭო სტესელები და ფოკები, მოწმედ უნდა იყოს? არა, სამარცხვინო ბოძზედ გასაკრავი და დასასჯელი უფრო სხვებია, უფრო მთავარი მომქმედნი პირნი ძველის რეჟიმისა, და არა ის საწყალი უვიცი, უბადრუკი და მხდალი გენერლები, რომელთაც ბედმა არგუნა პორტ-არტურში ისტორიულ როლის თამაში.

---

## ამიერ კავკ. საგლეხო ბანკის მოღვაწეობა.

„კავკაზ"-ის გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია ანგარიში ამიერ კავკასიის საგლეხო ბანკის მოღვაწეობისა მის დაარსებიდან 1 დეკემბრამდე, ე. ი. $21^1/_2$ თვის განმავლობაში. ანგარიშში დაწვლილებით არის ნაჩვენები, თუ რამდენი საქმე მიუღია ბანკს, რამდენი მამული დაუთვალიერებია მას, რამდენი დაუმტკიცებია, უყიდნია, უარი უთქვამს და სხვ. მოგვყავს ზოგიერთი საინტერესო ცნობა.

ბანკს სამგვარი ოპერაცია მოუხდენია: 1) მიუცია სესხი იმ გლეხებისათვის, რომელნიც მემამულეებთან მორიგებულან; 2) სესხი იმ გლეხებისთვის, რომელთაც ბანკის დაუხმარებლად უყიდნიათ მამული და 3) თვითონ ბანკს საკუთრად შეუძენია მამული პირდაპირ მემამულეებისაგან. გლეხებს ბანკის დაუხმარებლად ნაყიდ მამულების ვალის გასასტუმრებლად სესხი უთხოვნიათ მხოლოდ სამ შემთხვევაში—3933 მანეთი, რომელიც ბანკს არ მიუცია. დარჩა მხოლოდ ორგვარი ოპერაცია. თითქმის ორი წლის განმავლობაში გლეხებსა და მემამულეთ მორიგებით მოუნდომიათ 115 მამულის ყიდვა-გაყიდვა, ზომით 46,541 დეს., შეფასებული 2,194,998 მანეთად. მემამულეთ ბანკისთვის შეუძლევიათ სასყიდლად 450 მამული, ზომით 431,041 დეს., შეფასებული 31,807, 753 მანეთი.

ბანკს გაუსინჯავს და შეუფასებია: 53 მამული, რომელიც გლეხებს უნდა ეყიდნათ, ზომით 11,317 დეს., დაუფასებია 567,102 მან. ე. ი. დესიატინა 50 მან. 10 კ. (გლეხები მემამულეებთან მორიგებულან 60 მ. 26 კ. დესიატინაში). ამავე დროს ბანკს გაუშინჯავს 190 მამული, რომელიც საკუთრად უნდა შეეძინა, ზომით 125,020 დეს., დაფასებული მემამულეთა მიერ 10,897,791 მანეთად, ე. ი. 87 მ. დესიატინა; თვითონ ბანკს ეს მამული დაუფასებია 4, 954,150 მანეთად, ესე იგი თითო დესიატინა 39 მ. 62 კ.

ბანკს უყიდია გლეხებისთვის 16 მამული, ზომით 7,123 დეს., შეფასებული მორიგებით 318535 მანეთად, ბანკს მიუცია 249,170 მანეთი. ბანკს თავისთვის უყიდია 41 მამული, ზომით 47,-010 დეს., 2,738,600 მანეთად.

ანგარიშში, სამწუხაროდ, ნაჩვენები არ არის, რომელ გუბერნიაში როგორ მიდის საქმე, ან რას უპირებს ბანკი ნაყიდ მიწებს. ნათქვამია მხოლოდ, რომ განზრახულია ლიკვიდაცია უყონ 27,000 დესეტინას, მაგრამ არაფერი ვიცით, ვის უნდა დაურიგონ ეს მამულები.

## ქართლ-კახეთის სამღვდელოების წარმომადგენელთა საყურადღებოდ.

უკვე დაიწყო სამღვდელოების კრება, კრებას გარდაეცემა ეგზარხოსის მიერ, ჩვეულებრივ, ისეთი საქმეები განსახილველად, რომელთა ასე თუ ისე გადაწყვეტა მაგდენად თავში სატეხი არ არის. მაგრამ გარეშე ამ ჩვეულებრივ საქმეებისა კრებას თვალწინ უდგას ორი დიდი საქმე და აი სრწორეთ მათ შესახებ განვიზრახეთ გამოველაპარაკოთ წარმომადგენელთა კრებას.

პირველი: ამ რამდენისამე თვის წინად სინოდი შეეკითხა კანტორას—ხომ არ ისურვებს ქართლ-კახეთის სამღვდელოება მიიღოს ახალი შენობა (ვერაზედ) სემინარიისა; ხოლო ძველი გადასცეს სინოდს გასასყიდად, რომ ახალ შენობაზედ დანახარჯი ფული აიყენოს სინოდმაო. ჩვენ გავიგეთ, რომ რამდენიმე კაცი სცდილობს თანხმობა ათქმევინოს წარმომადგენელთა კრებას ამ საქმეზედ, მაგრამ არა გვგონია კრებამ კვლავინდებურობა გამოიჩინოს და უძვირფასესი ადგილი თფილისში და შენობა ძველის სემინარიისა ხელიდან გაუშვას და სამაგიეროდ მიიღოს ახალი შენობა ქალაქის განაპირა ადგილს. ჩვენის მხრით ვაფრთხილებთ კრებას ხელიდან არ გაუშვას ძვირფასი განძი. ოდესმე იგი დიდისშემოსავლის მომცემი იქნება.

მეორე: სემინარიაში სახვთისმეტყველო საგნები ქართულ ენაზე უნდა ისწავლებოდეს დღეის შემდეგ ამ საქმისთვის სინოდმა გადასდო 11,000 მან. ამ ფულის ნაცვლად, რომელსაც კანტორა უჯეროდ ახდევინებს სამღვდელოებას (სანთლის ქარხნიდან) დღემდე სასულიერო სასწავლებელთა შესანახავად, რაზედაც სამღვდელოებამ არა ერთხელ გამოაცხადა პროტესტი. აქაც თითო-ოროლა კაცი სცდილობს სამღვდელოებას უარი ათქმევინოს—ქართულ ენაზედ სწავლა არ გვინდაო. ვაბრთხილებთ კრებას—მოერიდოს არა მკითხავთ. („ისარი")

## ახალი ამბები და შენიშვნები.

*** გურიის გენ.-გუბერნატორი ტოლმაჩევი, როგორც გავიგეთ, დაინიშნა ადესის გრადონაჩალნიკად ნაცვლად გენ. ნოვიცკისა, რომელიც ორიოდე კვირის წინად გარდაიცვალა.

*** ეჩმიაძინის სინოდმა შუამდგომლობა აღძრა კავკასიის ნამესტნიკის წინაშე, რომ სომეხთა კათალიკოსის არჩევა მოხდეს მომავალ წლის მაისში. ნამესტნიკმა არჩევანი დანიშნა 1908 წ. ენკენისთვეს.

*** 2 დეკემბერს გარდაიცვალა ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორის პროკურორი პრავდინი. გვამი ბაქო-ბალაჯარის გზით ვორონეჟში წაიღეს პროკურორის თანამდებობას დროებით ასრულებს კანტორის მდივანი ს. ზ. მგალობლიშვილი.

*** ქუთაისის სასწავლებლების უფროსებმა მიიღეს ქუთაისის გუბერნატორისგან შემდეგი ცირკულიარული განკარგულება; „მოსწავლეებზე საზოგადოების მავნე ელემენტები არა სასურველად მოქმედებენ, რაც გამოიხატა იმაში, რომ 22 ნოემბერს გაიფიცნენ მოსწავლენი და ყველაზე გაფუჭებული მათგანი უკვე შემჩნეული არიან სხვა და სხვა საქმეში; ამისთვის საჭიროდ მიმაჩნია მოსწავლეთა ცხოვრებას სასწავლებლის გარეშე მეტი ყურადღება მიექცეს და გთხოვთ მიიღოთ შემდეგი ზომები: 1) აეკრძალოთ მოსწავლეთ თქვენდამი რწმენებულ გიმნაზიისას სახლიდან გამოსვლა, თუ აუცილებელი საჭიროება არ მოითხოვს, საღამოს 6 საათიდან, და თუ საჭიროება მოითხოვს მათ სახლიდან გამოსვლას, მოსწავლეებს უნდა ახლდნენ ან მშობლები ან აპეკუნები. 2) სავალდებულო გახდეს მოსწავლეთათვის ფორმის ტანისამოსის ტარება; 3) აეკრძალოთ მოსწავლეებს რესტორანებსა, დუქნებსა და სხვა ამ გვარ დაწესებულებაში სიარული. ამასთან საჭიროდ მიმაჩნია დავსძინო, რომ შეუსრულებლობა მოსწავლეთა მხრით აღნიშნულ მოთხოვნილებათა, იძულებული გამხდის მათ წინაღმდეგ სასტიკი ზომები მივიღო, თანახმათ იმ წესებისა, რომლებიც სავალდებულოა სამხედრო არსებობის დროს, ხოლო თუ მშობელთა და აპეკუნთა მხრით არ იქნა შესრულებული მესამე მუხლში აღნიშნული მოთხოვნილება, ისინი პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი თანახმად იმ სავალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულო დადგენილებისა, რომელიც გამოცემულია ქუთაისის გუბერნიისა და სოხუმის ოლქისათვის 24 ნოემბერს 1906 წელსა".

*** რუსულ გაზეთების სიტყვით, გურიაში შეუპყრიათ ერთი კაცი, რომელსაც აბრალებენ თურმე გენ. ალიხანოვის მკვლელობას.

*** „ტიფ. ლის." - დეპუტატ საღათელიანისაგან დეპეშა მიუღია. როგორც დეპუტატი იტყობინება, სამინისტრო წელს დამშეულ გუბერნიებისთვის თხოულობს თორმეტ მილიონ მანეთამდე. აქედან კავკასიისთვის განზრახულია მხოლოდ 121,-263 მანეთი. დეპუტატი სწერს, ასეთივე შეცდომა ჩაიდინეს შარშან, როდესაც შიდა რუსეთის დამშეულთათვის გადასდეს ორას მილიონ მანეთამდე, აქედან მარტო სამარის გუბერნაისთვის—30 მილიონია დეპუტატის აზრით, საჭიროა ცნობების შეკრება ამიერ-კავკასაის დამშეულთა შესახებ.

*** ამ დღეებში ჩამოვა მოსკოვიდან პროფ. ა. ს. ხახანაშვილი და წაიკითხავს 11 ლექციას (ქართულ მწერლობის ისტორიას) უმაღლესს კურსებზე კავლასიის შესასწავლად (ალექსანდრ. ბაღი). პირველი ლექცია დანიშნულია პარასკევს, 21 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე. იმავ კურსებზე, დღეს, 12 საათზე, ა. ვ. ფონი წაიკითხავს ლექციას ბოტანიკაზე.

*** დიდის რიხით ამცნეს ქვეყანას, რომ სამღვდელოებას მიენიჭა საბლაღოჩინო ოლქებში საბჭოების დაარსებაო. მართლაც სინოდს ერთად მოხსენდა „დელეგატებისაგან" ნათხოვარ რეფორმებთან საბჭოების დაარსებაც. სინოდმა ერთად გარდაწყვიტა ბლაღოჩინების, სამღვდელო და საპრიჩეტნიკო კანდიდატების არჩევასთან საბჭოების აღრჩევაც. მარტო ორი რეფორმა გამოცხადდა და საბჭოების დაარსების საქმე ძლიერ მაგრა დაუტუსაღებიათ, რაღგან ზოგიერთებს შემდეგ აღარ მოსწონებიათ ეს საბჭოები...

რასაკვირველია, ეს საბჭოები არ მოეწონებათ იმათ, რომელთაც სურსთ, რომ ყოველივე მოქმედება სრულდებოდეს ისე როგორც მათ იამებათ. ღმერთის წინაშე უნდა აღვიაროთ ისიც, რომ დღევანდელ სამღვდელოების ხელში რა იქნებოდა ეს საბჭოები?...

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საღვთისმეტყველებასა და კეთილმსნეობაზე.

## სჯულდებითი წიგნები ძველი აღთქმისა.

სჯულდებით წიგნებად ძველს აღთქმაში იწოდებიან ხუთი წიგნი მოსე წინასწარმეტყველისა—შესაქმე, გამოსვლათა, ლევიტელთა, რიცხვთა და მეორე სჯულისა. ებრაულსა და ყველა დაბადებებში ამათ უპირავთ პირველი ადგილი.

პირველი საკითხი, რომელიც უნდა გადავწყვიტოთ ამ წიგნთა განხილვამდე, არის საკითხი მათს სინამდვილეზე, ე. ი. ნამდვილად მოსე წინასწარმეტყველის დაწერილია აღნიშნული წიგნები თუ არა? გარდმოცემა ებრაული და ქრისტიანული ეკკლესიისა ერთსულოვნად აკურთხებს ამ წიგნებს მოსე წინასწარმეტყველს. რომ ნამდვილად მოსე წინასწარმეტყველმა დასწერა პირველი ხუთი წიგნი დაბადებისა, ეს თვით ამ წიგნებითვე მტკიცდება. მოსემ მოისმინა სინას მთაზე ღვთის ბრძანება, გადასცა იგი ხალხს და შემდეგ დასწერნა ოფველნი ესე სიტყვანი უფლისანი. (გამ. 24, 4), ღმერმა უბრძანა მას დაეწერნა სიტყვანი ესე (იქვე 34, 27.) ყოველივე დაწერილი მოსესი შეადგენდა რჯულის წიგნს (გამ. 24, 7), რომელიც მან ხმამაღლა წაუკითხა ერსა და რომელიც შემდეგ შეიქმნა სამღთო წიგნად ებრაელთათვის. რიცხვთა წიგნში მოსე ამბობს, რომ მან, ღვთის ბრძანებით, დასწერნა სიტყვანი ესე ამა სჯულისანი წიგნსა და მისცა იგი ძეთა ღეოისათა მღვდელთა ბა უბრძანა ეკითხნათ იგი ხალხისთვის ტალავრობის დღესასწაულზე. (მეორ. სჯ. 31, 9—12); ყველა ეს მოწმობანი ეხებიან ხუთთავე წიგნს და არა ერთს რომელსამე.

ძველი აღთქმის სხვა წიგნეიშიც ვპოვებთ ბევრს მოწმობას შესახებ იმისა, რომ პირველი ხუთი წიგნი ნამდვილად მოსეს დაწერილია; ყველა ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნებში სჯული იხსენება მოსეს დაწერილად; აქ მოყვანილია ბევრი სხვა და სხვა ადგილები მოსეს ხუთ წიგნიდან.—შინაური და საზოგადოებრივი ცხოვრება ებრაელთა მოწყობილ იყო სწორედ ისე, როგორც დაწესებულია მოსესგან; ამას სცდილობდნენ სამღვდელოება ებრაელთა, მსაჯულნი, მეფენი და წინასწარმეტყველნი. უფალი იესო ქრისტე და და მოციქულები ხუთ წიგნს სცნობენ ნამდვილ-დ მოსეს დაწერილად (მარკ. 12, მან; ლუკა 24, 44); საქმე მიც. (5, 21; რომ. 10, 5; 2 კორ. 3, 15).

ებრაელებში ამ ხუთ წიგნს ჰქონდათ სახელწოდება სჯული, სჯული უფლისა; წიგნი მოსესი (მეორე 15. 31, 25. ის. ნავ. 8, 32, 2 ნეშტ. 25, 4; ლუკ. 34, 27; 44). ღვთისგან მოცემული სჯული მოთავსებულია გამოსვლათა, ლევითელთა. რიცხვთა და მეორე სჯულის წიგნებში; მაგრამ სახელწოდება სჯული ეკუთვნის პირველს წიგნსაც, რადგანაც მასში ნაჩვენებია საფუძველი ჭეშმარიტი ღვთის სჯულისა.

ეს მოსეს წიგნი სჯული—თორა მოსეს დროსვე განიყოფებოდა ხუთ ნაწილად, რომლებიც ეხლა შეადგენენ ხუთ წიგნს; ამ მოსეს სჯულს ებრაულათ ურქვა „ხამიშ-ხუმეშეი“—ანუ ხუთი ხუთეული (ნაწილი ერთი მთელის) სჯულისა. LXX თარგმანში ამას ესოდება პენტა-ტევქოს (ხუთი წიგნი) ეს სახელწოდება მოსეს სჯულის წიგნებისა მიღებულია დაბადების ყველა თარგმანებში.

**პირველი წიგნი მოსესა „დაბადებ“** თვით მოსეს არაფერი სახელები არ უწოდებია თავის წიგნებისათვის; ნხოლოდ ებრაელებმა შემეგში, წიგნების ერთმანეთისაგან გასარჩევად, უწოდეს მას ის სახელები, რომელი სიტყვითაც იწყებოდა წიგნი, მაგ. პირველს წიგნს ებრაულად ეწოდება „შერეშიტ“ (დასაბამად), რადგანაც ამ წიტყვით იწყება. ბერძნულს LXX თარგმანში ამ წიგნს ეწოდება „გენეზის“—შთამოება, დაბადება, შექმნა, შესაქმე. ეს სახელი აღებულია თვით წიგნიდან (II, 4 და V, 1) და გამოხატავს მისს შინაარსს. ქართული სახელდოდება ამ წიგნისა შექმნათა, დაბაღება, შესაქმე თარგმნილია ბერძნულიდანდა იმასვე გამოხატავს, რაც ბერძნული.

**უმთავრესი საგანი ამ წიგნისა** არის ისტორია ქვეყნის გაჩენისა და ნამეტურ ძველი აღთქმის ეკკლესიის დაფუძნებისა და მისი საბოლოოდ დამყარებისა, რაც მოხდა ებრაელთა შორის მოსეს დროს.

**დრო, ადგილი და მსზანი დაწერისა.** პირველი წიგნი მოსესი, როგორც ფიქრობენ, უნდა იყოს დაწერილი მის საწინასწარმეტყველო მსახურებაზე მოწოდების შემდეგ რაც მოხდა ქორიბის მთაზე (გამ. 19, თ.); დაიწერა წიგნი სინას უდაბნოში. ამ წიგნიე დაწერის მიზანია—აჩვენოს დასაბამი ღვთის ეკკლესიისა ქვეყანაზე და აგრეთვე ისიც, თუ როგორ ინახავდა და იფარავდა ღმერთი წმიდა თესლს ბოროტის და გარყვნილი ხალხისგან.

**გაყოფა წიგნისა.** წიგნი „დაბადება“ განიყოფება სამ ნაწილად. I, შესავალი (I—II 3.), სადაც მოთხრობილია ქვეყნიერებისა და კაცის გაჩენა; II, ისტორია ღვთის ეკკლესიისა მისი დაარსებიდან სამოთხეში აბრაამის მოწოდებამდე (II, 4 XI, 26) და III, ისტორიამ ეკლესია აბრაამიდან იოსების სიკვდილამდე X, 27—L)

**შინაარსი პირველი ნაწილისა.** სულ პირველად, დასაბამიდან, როცა არა იყო რა, ღმერთმა არარაისგან გააჩინა ცა და ქვეყანა, ე. ი. უხილავი ქვეყანა ანგელოზთა და მასალა, ანუ ნივთიერება, რომლიდანაც შემდეგში თან და თან, ღვთისავე ბრძანებით, შეიქმნა ხილული ქვეყანა. ეს პირველ-შექმნილი ნივთიერება იყო განუმზადებელი, ანუ ასეულ-დასეული. პირველად ამ განუმზადებელი ნივთიერებიდან გაჩნდა ნათელი, დასაწყისი სიცოცხლისა და მოძრაობისა. ერთად ამასთან მოხდა გაყოფა ნივთიერებისა და მისი მოძრაობა; ხოლო ამას მოჰყვა ნათლის მოძრაობაც, რის გამო შესაძლებელი გახდა დღე-ღამის გარჩევა; ნათლის გაჩენის შემდეგ გაჩნდა ჰაერი, რომელიც ნათელთან ერთად გარემოიცავს ქვეყანას, წყალი გაიყო ხმელეთისგან და შეგროვდა დიდს და ვრცელს ოკეანეში; დედამიწამ პირველს დღეში გაჩენილი ნათლის გავლენით, რომელს თან სითბოც ახლდა, აღმოაცენა მცენარეულობა; ამს შემდეგ, პირველ დღეს გაჩენილი ნათელი შეგროვდა მნათობებში—მზეში, მთვარეში, ვარსკვლავებში; დანიშნულება ამ მნათობებისა მდგომარეობს იმაში, რომ გაყონ დღე ღამისაგან, იყვნენ წელიწადების, თვეების, დღეების და საათების საზომად და დედამიწის გასანათებელ გასათბობად. მზეს და მთვარეს ეწოდება დიდი მნათობნი, რადგანაც ვარსკვლავებთან შედა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებით ისინი დიდები ჩანან დედამიწიდან მასთან სიახლოვის გამო. ჰაერის, წყლის და მცენარეების გაჩენის შემდეგ ღმერთმა გააჩინა ის არსებანი, რომელთაც უნდა ესარგებლნათ მათით — ანუ ცოცხალი არსებანი-წყლები გავსნენ სხვა და სხვა ჯიშის თევზებით, ჰაერი ფრინველებით' მწერებით, დედამიწა ქვეწარმავალებით და ოთხ ფეხ ცხოველებით. ღმერთმა უბრძანა ცხოველებს, თევზებს და ფრინველებს გამრავლებულიყვნენ და აევსოთ ქვეყანა. დაბოლოს ღმერთმა შექმნა კაცი ხატად და მსგავსად თვისად. ამითი დააგვირგვინა ღმერთმა ქმნილებანი.

**ხატება და მსგავსება ღვთისა** მდგომარეობს კაცის სულში. სულს აქვს ნათესაობა ღმერთთან, რადგანაც იგი ღვთის შთაბერილია (II, 7); ღმერთი არის არსება უკვდავი და სულიერი კაცის სულიც უკვდავი და სულიერი არსებაა. გაცის სული არის გონიერი და თავისუფალი არსება, რომელსაც შეუძლია მიიღოს და გაიგოს ჭეშმარიტება და თავისუფლად დაემორჩილოს ღვთის ნებას. ეს ნიშნები ღვთის ხატებისა კაცს არ დაუკარგავს შეცოდებას შემდეგაც, როგორც მოწმობს თვით სამღთო წერილიც. (დაბ. V, 1; IX, 6. იაკ. III, 9). პირუტყვთა სახელების დარქმევა მოწმობს, რომ კაცს ჰქონდა გონება ნათელი, წმიდა და გამჭვრეტი, თუმცა კი ეს გონება იყო შეზღუდული, მას ესაჭიროებოდა სწორე განვითარება; აგრეთვე ნება პირველი კაცისა მიმართული იყო კეთილისადმი, თუმცა კი ჰქონდა ბოროტის შესაძლებლობაც.

ღმერთმა აკურთხა პირველი მამაკაცი და დედაკაცი; უბრძანა მათ აღორძინებულიჩვნენ და გამრავლებულიყვნენ, აევსოთ ქვეყანა; ღმერთმა მისცა კაცს უფლება და ბატონობა ცხოველებზე, რადგანაც იგი შექმნილ იყო მღვთის ხატად და მსგავსად და სულიერი ბუნებით და ძალით აღემატებოდა მად. საჭმელად ღმერთმა კაცრს დაუნიშნა მცენარეულობა და ხილეულობა, ცხოველებს კი მხოლოდ მცენარეულობა. და იხილა ღმერთმა ყოველნი, რაოდენნი ქმნა და აჰა კეთილ ფრიად"!

კაცის გაჩენილ ღმერთმა განასრულნა საქმენი თვისნი და მეშვიდე დღეს განისვენა, ე. ი. აღარა შეუქმნია-რა; მაგრამ არ შეუწყვეტნია ზრუნვა ქვეყანაზე და განგება მისი. მეშვიდე დღე ღმერთმა აკურთხა. დროთა კურთხევა ნიშნავს მათი ღვთის სამსახურებლად შეწირვას.

(გაგრძელება იქნება).

# განცხადება.

მიიღება ხელის-მოწერა 1908 წლისათვის ორკვირეულ ჟურნალს

## XXV წ. „მწყემს“-ზე XXV წ.

ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ფ ა ს ი:

12 თვით 3 მან. — 6 თვით 2 მან.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა **ყვირილაში** რედაქციაში, **თბილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ვისაც ნაწილ ნაწილად სურს ხელმოსაწერი ფულის შემოტანა მან უნდა წარმოადგინოს პირველ იანვარს 1 მ. პირველ აპრილს 1 მ. და პირველ ივლისს 1 მ. სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით **ო რ მ ა ნ ე თ ა დ.**

რედაქცია იმყოფება დ. **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію журнала „МЦКЕМСИ“.**

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ყდით ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოება აგრეთვე მრავალ-გვარი საკითხავი წიგნები და სახელმძღვანელო გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიდაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან უფასოდ.

რედაქტორ-გამომცემელი **დეკანოზი დ. ღამბაშიძე.**

## შ ი ნ ა ა რ ს ი.

**სალიტერატურო განყოფილება:** რედაქციისაგან.— რედაქციის აღსარება.—სახარება ისტორიაში, (მღ. გ. პეტროვის თხზულებიდან). თარგმ. მღ. ი. ლუკიანოვისაგან.— იოანნე ოქროპირი და თანამედროვე სასულიერო იერარქია.— ნანგრევთან (ლექსი), ონოფრე მწირის.—ეპისკოპოსი გრიგორი —ჟურნალ-გაზეზებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

**სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე:** სჯულდებითი წიგნები ძველი აღთქმისა.—განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ.** ღამბაშიძე, 15 დეკემბერი, 1907 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ღამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.